



პროფესიული სტუდენტის შეფასება

1. ბნსუ-ში მოქმედებს შეფასების 100-ქულიანი სისტემა. პროფესიული პროგრამის თეორიული (სასწავლო კურსები) და პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკა) შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებას. ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაში შეფასების შუალედური შეფასებების ხვედრითი წილია max 60 ქულა, დასკვნითი შეფასების - max 40 ქულა;
2. დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა პროფესიულ სტუდენტს, რომლებსაც სილაბუსით გათვალისწინებული წესით მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა (min 51 ქულა);
3. ბნსუ, პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის, ადგენს იმ პროფესიული სტუდენტების დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე გასვლის ვალდებულებას (გამონაკლისი - საპატიო მიზეზით გამოცდაზე გასვლის შეუძლებლობა), რომლებსაც შუალედური შეფასებებით მიღებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულები (min 51 ქულა);
4. პროფესიულ სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდის და დაცვის/დამატებითი დაცვის მომენტისთვის უნდა ჰქონდეს აქტიური სტატუსი;
5. ბნსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი სისტემით, რომელიც უშვებს:

შეფასებები	ქულა	შეფასება	
დადებითი	91 – 100	A	ფრიადი
	81 – 90	B	ძალიან კარგი
	71 – 80	C	კარგი
	61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 – 60	E	საკმარისი
უარყოფითი	41 – 50	Fx	ვერ ჩააბარა (პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 – 0	F	ჩაიჭრა (პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

6. შეფასების შედეგი გამოცხადდება: გამოცდის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 05 კალენდარულ დღეში, დაცვის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში, დამატებითი გამოცდის/დაცვის შედეგი გამოცხადდება დამატებითი გამოცდის/დაცვის ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა;
7. შუალედი დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას/დაცვას შორის უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა;
8. Fx შეფასება ფიქსირდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასების დაჯამებით 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში;
9. დამატებით გამოცდაზე/დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება აქვს პროფესიულ სტუდენტს: ა) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასების დაჯამებით სასწავლო კურსში/პროგრამის სხვა კომპონენტში შემაჯამებელი 50-41 ქულის (შეფასება Fx) მიღების შემთხვევაში; ბ) დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე 0 ქულის მიღების შემთხვევებში, თუ მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/დაცვის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 50-41 ქულა;
10. F შეფასება (0 ქულა) ფიქსირდება შემდეგ შემთხვევებში: ა) დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე არ დაშვება; ბ) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასების დაჯამებით 41-ზე ნაკლები ქულის მიღება; გ) დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე 0 ქულის მიღება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/დაცვის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა; დ) დამატებითი გამოცდაზე/დაცვაზე 0 ქულის მიღება; ე) შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის/დაცვის შეფასების დაჯამებით მინიმალურ დადებით შეფასებაზე (51 ქულაზე) ნაკლები შემაჯამებელი ქულის მიღება
11. შეფასება F მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსი - ახლიდან აქვს შესასწავლი, ხოლო პრაქტიკა - ახლიდან აქვს გასავლელი და პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა შესასრულებელი;
12. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;
13. პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების (კოეფიციენტების) და GPA-ს გამოთვლა ხდება წინამდებარე დებულებით აკადემიური უმაღლესი პროგრამებისთვის დადგენილი წესით;
14. პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტენა (შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და სხვ.) მითითებული პროგრამის კომპონენტის პროგრამაში (სილაბუსში).